

Politics and Poetics: Scientific Literature on Russian-Georgian Literary Relations in the Post-Soviet Period

პოლიტიკა და პოეტიკა: სამეცნიერო ლიტერატურა
პოსტსაბჭოთა პერიოდის რუსულ-ქართული
ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ

Ivane Mchedeladze
Tbilisi State University
(Tbilisi, Georgia)

ივანე მჭედელაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
(თბილისი, საქართველო)

Abstract:

In the post-Soviet period, literary relations did not remain beyond political influence. The place of reflection on the socio-political context of the collapse of the Soviet Empire proved to be the literary processes of the mentioned epoch. Relicts of political discourse can be found not only in fiction but also in scientific literature. Analyzing Soviet problems in this way has led to an expansion of the post-imperial / postcolonial study area.

In this paper, I will discuss the works created as a result of the fundamental research conducted by German Slavists, Mirja Lecke and Elena Chkhaidze “The Development of Russian-Georgian Literary Relations after the Perestroika”. This study was widely recognized in the Slavic world. The materials discussed are E. Chkhaidze's monograph “Politics and Literary Tradition: Russian-Georgian Literary Relations after the Perestroika” (2018) as well as several important publications by Mirja Lecke dedicated to these issues.

In her monograph, Elene Chkhaidze introduces the concept of “Imperial Literary Tradition”. Therefore, by analyzing artistic and scientific material, she maintains that this tradition is formed, developed and broken in parallel with the formation, development and disintegration of the empire. The literary process, as a full-fledged event, also depends on political factors. The scholar's work is based on the rich history of Georgian-Slavic studies.

To analyze the current problem, she uses modern, interdisciplinary approaches of Western European and American scientific schools.

E. Chkhaidze's work contains many complex theoretical concepts – trauma, nostalgia, nations and nationalism, semiotics of the city (Tbilisi), the city as a place of struggle and life, a meeting place for people of different nationalities, hybridism, in the research special attention is paid to post-Soviet Russian conflicts.

Post-Soviet / postcolonial events in Georgia and Russia are viewed not in the “East-West” but in the “North / South” prism. The study covered works of art, critical literature and research by Georgian and Russian-speaking authors living in Georgia, Russia and abroad until 2014. A complete overview of the trends and scientific papers of the scientists of the Soviet and post-Soviet periods is given, on which the researcher relies. This is the first and only such study of the post-Soviet period.

It should be noted that this vector of German comparative literature, with its methodological concepts, will be of great help not only in the process of studying the inter-literary relations of not only Georgian-Russian but also of the former USSR republics.

Keywords: Russian-Georgian Literary Relations, Postcolonialism

საკვანძო სიტყვები: რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობები, პოსტკოლონიალიზმი

პოსტსაბჭოთა პერიოდის ლიტერატურული ურთიერთობები გამჭოლად ირეკლავს პოლიტიკური გავლენების კვალს. აღნიშნული ეპოქის ლიტერატურულ პროცესებს საბჭოთა იმპერიის დაშლის სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტის რეფლექსიის ადგილიც შეიძლება ეწოდოს, სადაც მკაფიოდ გამოიკვეთა „გარდამავალი საზოგადოების კულტურული და სოციოკულტურული კონფლიქტი“ (ბ. წიფურია). პოლიტიკური დისკურსის რელიქტები გვხვდება არა მხოლოდ მხატვრულ ტექსტებში, არამედ მათ შესახებ შექმნილ სამეცნიერო ლიტერატურაშიც. სოვიეტოლოგიური პრობლემების ამგვარად გაანალიზება განაპირობებს საბჭოთა/რუსული იმპერიული გამოცდილების მისა-

დაგებას ტრანსნაციონალურ პოსტკოლონიურ კვლევებთან. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე არსებობს მის შესახებ შექმნილი ათეულობით სამეცნიერო ნაშრომი როგორც ქართულ, ისე დასავლურ (ევროპულსა და ამერიკულ) ლიტერატურათმცოდნეობაში. ცხადია, ეს ნაშრომები ერთმანეთისგან განსხვავდება კვლევის ვექტორების, მეთოდოლოგიისა და ემპირიული მასალების თვალსაზრისით.

სტატიაში განხილულია რურის უნივერსიტეტის (ქ. ბოხუმი, გერმანია) სლავისტიკის ცენტრის მკვლევრების, პროფ. მირია ლეკესა და ელენა ჩხაიძის, მიერ განხორციელებული ფუნდამენტური კვლევის „*რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების განვითარება „პერესტროიკის“ შემდეგ*“ შედეგად შექმნილ ნაშრომები. აღნიშნული კვლევის აქტუალობაზე მეტყველებს მის შესახებ დაწერილი რეცენზიები და გამოხმაურებები არაერთ ქვეყანაში (*იტალია, გერმანია, პოლონეთი, უკრაინა, ყაზახეთი*). საანალიზო მასალებს წარმოადგენს ე. ჩხაიძის მონოგრაფია „*პოლიტიკა და ლიტერატურული ტრადიცია: რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობები პერესტროიკის შემდეგ*“ (2018) ასევე ამ საკითხისადმი მიძღვნილი მირია ლეკეს რამდენიმე მნიშვნელოვანი პუბლიკაცია.

კანონიკურ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში და, შესაბამისად, მის ქართულ ინვარიანტშიც, რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევამ და სწავლებამ სამეცნიერო-აკადემიურთან ერთად განსაკუთრებული იდეოლოგიური მნიშვნელობა შეიძინა. მეოცე საუკუნის 60-იანი წლების დასასრულსა და სამოცდაათიანი წლების დასაწყისის ლიტერატურათმცოდნეობის პერსპექტიული სასწავლო და სამეცნიერო მიმართულება გახდა შედარებითი კვლევების ალტერნატივა – *ლიტერატურული ურთიერთობები*. ამ მიმართულებაში გასაგები მიზეზების გამო რუსულ-ქართული წყვილი დომინანტური და ათწლეულების განმავლობაში კვლევის ვექტორების განმსაზღვრელი იყო. აქ შემუშავებული მეთოდოლოგიით, სქემითა და ტენდენციებით ვითარდებოდა სსრკ-ში შემავალი სხვა რესპუბლიკების ლიტერატურების ისტორიისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევის პროცესიც.

ეს მიმართულება არაერთი თანამედროვე მკვლევრის ნაშრომში განიხილება შედარებით-ისტორიული ლიტერატურათმცოდნეობის საბჭოთა ინვარიანტად, იგი თეორიულ ლიტერატურათმცოდნეობას საკმაოდ დაშორებული იყო და ლიტერატურის ისტორიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. თუმცა როგორც თანამედროვე სამეცნი-

ერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ისტორიასა და თეორიას შორის ამგვარი მერყეობა შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ზოგადი მახასიათებელიცაა (Наливайко, 2009, გვ. 10-11).

პოსტსაბჭოთა/პოსტკოლონიურ პერიოდში მეცნიერების დეიდეოლოგიზაციასა და სამეცნიერო-კრიტიკული აზრის დეკონსტრუქციასთან ერთად დაიწყო ამ მიმართულების ერთგვარი კრიზისი. ერთი მხრივ, ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ტრადიციის საბჭოთა ინვარიანტი სათანადოდ ვეღარ აკმაყოფილებდა საერთაშორისო ლიტერატურული კვლევების ტენდენციებს, მეორე მხრივ კი არსებული სამეცნიერო ტრადიციის უგულვებელყოფა შეუძლებელი იყო. შესაბამისად, საჭირო და აუცილებელი გახდა მისი გარდაქმნა, ტრადიციისა და ინოვაციის სინთეზი თანამედროვე მეთოდოლოგიების დაწერგვით, რაც დამოუკიდებლობის პერიოდში წარმატებით განხორციელდა და მას ახლა კუთვნილი ადგილი უკავია ინტერდისციპლინურ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში.

საქართველოში რუსისტიკის, *(რომლის ძირითად მიმართულება-საც წარმოადგენდა ლიტერატურული ურთიერთობების კვლევა)* ჩამოყალიბებისა და განვითარების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია არსებობს და ლიტერატურათმცოდნეთა წრეებში კარგადაა ცნობილი. ამის მიუხედავად პროცესის სრულიად ახალეზური შეფასებაა გერმანელი მეცნიერის, მირია ლეკეს (Lekke, 2018, გვ. 31-55) პუბლიკაციაში. პროცესის გასაანალიზებლად მეცნიერი ეყრდნობა მიშელ ფუკოს თეორიას, რომლის მიხედვითაც „ლიტერატურული პროცესი კოგნიტიური მოვლენაა და ლიტერატურაში „ძალაუფლება“ და „ცოდნა“ განუყოფლად უკავშირდება პრაქტიკისა და დისკურსის საშუალებებს (Lekke, 2018, გვ. 31). შესაბამისად, მეცნიერის ინტერესია გამოავლინოს ცოდნისა და ძალაუფლების კავშირი, იმპერიულ/კოლონიურ პარადიგმაში – ცენტრი-პერიფერია. ამ საკითხის გამოსაკვლევად ანალიზებს იმ სოციალური, იდეოლოგიური და ინსტიტუციური ფაქტორების ცვლილებას, რაც რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების ხანგრძლივ პროცესს განაპირობებდა.

ამ სტატიაში იგი აღწერს სამეცნიერო პროცესის განვითარების მნიშვნელოვან ასპექტებს, ესენია – კადრები (ანუ დარგის მკვლევრები, ქართველი მეცნიერები), ორივე მეცნიერი თავიანთ პუბლიკაციებში ყურადღებას აქცევს კადრების, საკვლევო თემებისა და მეთოდების ცვლილებებს მთელი ამ სამეცნიერო პროცესის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ამ ასპექტში უფრო დეტალური მიმოხილვა წარმოდგე-

ნილია ე. ჩხაიძის მონოგრაფიაში (თავი მესამე, 3.4, 3.5 3.6 ნაწილები). ეს სრულიად ლოგიკურიცაა, რადგან რურის უნივერსიტეტის მკვლევარს განათლება სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აქვს მიღებული. აქედან გამომდინარე, მისთვის ფაქტობრივი გარემოებები, პიროვნებები, გაცილებით უკეთაა ცნობილი და, შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულ ეტაპზე თავადაც ამ პროცესის მონაწილე იყო.

ნახსენებ სტატიაში საბჭოთა პერიოდის ანალიზისას მ. ლეკე იყენებს პოსტკოლონიური თეორიის ისეთ მნიშვნელოვან კონცეპტებს, როგორებიცაა – ბინაურული ოპოზიცია **ცენტრი-პერიფერია**. მკვლევარი იზიარებს სხვა ცნობილი სლავისტების (*ტ. მარტინი, ე. გაპოვა და სხვ.*) მოსაზრებებს და თავადაც ავითარებს აზრს – საბჭოთა ლიტერატურა ხასიათდებოდა *ლიტერატურაცენტრისტულობით*, რომ ცენტრი (ანუ მოსკოვი), იყო სახელმწიფოს ცოდნის ცენტრი, სადაც ხდებოდა საბჭოთა ლიტერატურისა და მის შესახებ მეცნიერების, ნორმებისა და წესების წარმოება. მკვლევრის მართებული მსჯელობით (2018, გვ. 35-37) *„ლიტერატურაცენტრისტულობა იდგა სსრკ-ში ცოდნის გავრცელების სათავეებთან, მას ჰქონდა ღრმა გავლენა და შორს მიმავალი შედეგები... ლიტერატურა ფასდებოდა არა მხოლოდ როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების საშუალება, არამედ იგი მრავალეროვნული სახელმწიფოს ფუნქციონირებისთვის მეტად მნიშვნელოვანი ბერკეტი იყო“*.

რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის შესახებ ამ თეორიული მსჯელობისას იგი გამოყოფს რამდენიმე მნიშვნელოვან ბლოკს. პირველი ესაა *„კლასიკოსების კულტი“*, იგი ეყრდნობა გუდკოვისა და დუბინის შეხედულებებს, რომლის მიხედვითაც საბჭოთა ლიტერატურა და ასევე მეცნიერებაც განსაკუთრებულად კანონიკური და კლასიკოსების შემოქმედებაზე იყო ორიენტირებული; და რომ ლიტერატურათმცოდნეობისათვის მნიშვნელოვანი იყო რუსული ლიტერატურის კლასიკოსები, მაგ.: გრობოედოვის, პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის შემოქმედება და მათი კავშირები კავკასიასთან და სხვა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კლასიკოსების კულტი მხოლოდ რუსული ლიტერატურის პოზიციებიდან არ განიხილებოდა, ეს ასევე ეხებოდა ქართველი ავტორების მიმართებას რუსულ კულტურასთან. ეს იყო როგორც პირადი კავშირების, ისე მსგავსი ისტორიულ-ლიტერატურულ თავისებურებათა მიმართების გამოვლენა რუსულ მწერლობასა და კულტურასთან. აქ მეცნიერულთან ერთად პოლიტიკური ინტერესიც იკვეთებოდა, რასაც ობიექ-

ტურად აფასებს მ. ლეკე. სხვა მნიშვნელოვან მოსაზრებებთან ერთად, ამ ნაშრომში მე გამოვყოფდი მის კიდევ ერთ მეტად საინტერესო დაკვირვებას შედარებითი კვლევების შესახებ მსჯელობისას. „შეპირისპირებითი კვლევის პრინციპი არ იყო შემთხვევითი მოვლენა, მან აირეკლა საბჭოთა ლიტერატურული დისკურსის იმპერიული ბუნება: პერიფერიის კულტურა აღქმულიყო მხოლოდ ცენტრის პრიზმაში“ (Лекке, 2018, გვ. 39). უნდა აღინიშნოს, რომ მისი ეს მახასიათებელი ვრცელდებოდა სსრკ რესპუბლიკების ლიტერატურების ისტორიისა და მათ შორის არსებულ შედარებით კვლევებზეც. მართლაც, რუსული ლიტერატურა წარმოადგენდა ერთგვარ *tertium comparationis*, რომლის საფუძველზეც უნდა განხორციელებულიყო ლიტერატურული წყვილების შედარებითი კვლევის ტენდენციები. ამავე ნაშრომში აღწერს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდს, იმ ძირითად ტენდენციებს, რომელიც გავლენას ახდენდა რუსულ-ქართული ურთიერთობების შესწავლაზე და ცალსახად მიუთითებს არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ხელახალა გააზრების აუცილებლობაზე (Лекке, 2018, გვ. 48-52).

2020 წლის ჟურნალის „Новое Литературное Обозрение“ №166 (6/2020) მიეძღვნა პოსტსოციალისტურ/პოსტკოლონიურ კვლევებს, ამ ნომერში დაიბეჭდა მირია ლეკეს ერთი პუბლიკაცია „*მზიური საქართველოს დასასრული: კოლონიურობა საქართველოს შესახებ 1991 წლის შემდეგ დაწერილ რომანებში*“. სტატიაში იგი აანალიზებს აკა მორჩილაძის „გასეირნება ყარაბაღში“, დენის გუცკოს „რუსულად მოსაუბრეს“ და ნინო ხარატიშვილის „მერვე სიცოცხლე. ბრილკას“. თეორიულ დისკურსად იყენებს რობერტ მინოლოს კონცეფციას – კოლონიურობა, უსადაგებს ასევე დასავლურ ცნობიერებაში ჩამოყალიბებულ დისკურსულ კონსტრუქციას **ჩრდილოეთი-სამხრეთი**. აღსანიშნავია, რომ ცენტრისა და პერიფერიის, ანუ მეტროპოლიისა და კოლონიის, ურთიერთობათა ამგვარი წაკითხვა რუსულ-ქართული „კულტურული იმპერიალიზმის“ (ე. საიდის კონცეფცია) მაგალითზე სრულიად ახალია და ჯერჯერობით მხოლოდ აღნიშნულ მკვლევართა ნაშრომებში გვხვდება. კავკასია, როგორც რუსეთის აღმოსავლეთი, ევროპელ და ამერიკელ მკვლევართა ნაშრომებში არც თუ ისე ახალია, თუმცა კოლონიურობის იმგვარი გაგება, როგორსაც ელენა ჩხაიძე და მირია ლეკე გვთავაზობენ, ახალია.

მირია ლეკე (Лекке, 2020) სტატიაში საუბრობს ევროპის კონტინენტის კულტურული აღქმის პარადიგმებზე, რომლის მიხედვითაც ევ-

როპა იყოფა დინამიკურ, პოლიტიკურად ძლიერ ჩრდილოეთად და ჩამორჩენილ, პატრიარქალურ, მაფიოზურ, თუმცა ამავდროულად თვალწარმტაც და ეგზოტიკურ სამხრეთად. ამის მაგალითად მკვლევარი იშველიებს იტალიით აღფრთოვანებას რენესანსიდან განმანათლებლობის პერიოდისა და მეცხრამეტე საუკუნის ჩათვლით. მკვლევარს მიაჩნია, რომ იმპერიულმა რუსეთმა აითვისა ეს პარადიგმა საქართველოსთან მიმართებაში და „საქართველო, თავისი ქრისტიანული ტრადიციის გამო, აღმოსავლეთის სამხრეთი („იტალია“) გახდა“. გერმანელი მეცნიერი ამის არგუმენტად იშველიებს იმას, რომ საქართველოთი ჩრდილოეთიდან ჩამოსული სამხედროები, ეთნოგრაფები, მოგზაურები აღფრთოვანებული იყვნენ. აღფრთოვანების მიზეზებად ასახელებს – საქართველოს უძველეს კულტურას, სამზარეულოთი გამოხატულ სტუმარ-მასპინძლობის წესსა და სხვ. მიუხედავად იმპერიული დისკურსის ზოგადი მახასიათებლისა, რაც გულისხმობს ცენტრის მიერ პერიფერიის მარგინალიზაციას, დისკრიმინაციას, მირია ლეკე წერს, რომ საქართველოსთან მიმართებით პოზიტიური მახასიათებლებიც სჭარბობდა. ამის ნათელ გამოხატულებად მიაჩნია საბჭოთა იმპერიაში საყოველთაოდ ცნობილი ტროპი **„მზიური საქართველო“**. ცნობილ მკვლევართა (გ. მაისაურაძე, მ. ტლოსტანოვა) და სხვ. მსჯელობის ანალიზის კვალდაკვალ, მ. ლეკე იზიარებს ტლოსტანოვას შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, საქართველო მეორე რიგის პოსტკოლონიიაა. ამ თეორიულ ფონზე განხილული ქართული და რუსული რომანების ტიპოლოგიური შედარების ფონზე გამოტანილი დასკვნები შეიძლება ცალკე დისკუსიის საგანიც გახდეს.

ლიტერატურულ-კულტურულ პროცესებში რეპრეზენტირებული საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობათა მრავალწახნა-გოვანი, რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესი ასახულია ელენა ჩხაიძის მონოგრაფიაში, რომელიც ამ დიდი საკვლევი პროექტის შედეგია. არ იქნება გადაჭარბებულად ნათქვამი, რომ ამ ტიპისა და მასშტაბის კვლევა არასდროს ჩატარებულა პოსტსაბჭოთა პერიოდის ურთიერთობათა შესახებ. მონოგრაფიის სათაური „პოლიტიკა და ლიტერატურული ტრადიცია“... ცალსახად მიუთითებს პოლიტიკური პროცესების გავლენის კვლევას ლიტერატურულ დისკურსზე.

საქართველოს კულტურული კოლონიზაცია ე. ჩხაიძეს რუსული კოლონიალიზმის მნიშვნელოვან ასპექტად მიაჩნია, რომელმაც წარმოშვა *რუსულ-ქართული მითი*. ნაშრომში (Чхaidze, 2018) განიხილავს სწორედ ამ მითის კონსტრუირებისა და დეკონსტრუქციის ხანგრძლივ

პროცესსა და მათ განმაპირობებელ ფაქტორებს. მონოგრაფია იმითა-
ცაა მნიშვნელოვანი და მასშტაბური, რომ მასში საკითხს მეცნიერუ-
ლად ანალიზებს ორივე – რუსული და ქართული ლიტერატურის
პერსპექტივიდან. უცხოელი სლავისტები უმეტესად რუსულ მწერლო-
ბასა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით ანალიზებენ
საქართველოსთან მიმართების საკითხს და ეს სრულიად გასაგებიცაა.
ე. ჩხაიძე ფართომასშტაბიანი კომპარატივისტული კვლევის საწარმო-
ებლად იყენებს რუსულსა და ქართულ მხატვრულსა და სამეცნიერო
ლიტერატურას. ამ მასალების გაანალიზებით, მკვლევრის მოტივაციაა
გამოავლინოს ლიტერატურაში ჩამოყალიბებული რუსულ-ქართულ
ტრადიციული დისკურსული კონსტრუქცია. როგორია დიქტომი-
ური ცნებების – მეგობრობა/მტრობა, დაახლოება/დაშორება ტრანს-
ფორმაციათა დინამიკა; რა შედეგები აქვს საბჭოთა კლიშეების რესემი-
ოტიზაციასა და დემითოლოგიზაციას; როგორ სახეს იღებს იმპერი-
ული ტრადიცია იმპერიის დაშლის შემდგომ პერიოდში და ა.შ.

თავის მონოგრაფიაში ელენე ჩხაიძეს შემოაქვს მეტად მნიშვნე-
ლოვანი კონცეფცია „იმპერიული ლიტერატურული ტრადიცია“. აქე-
დან გამომდინარე, მხატვრული და სამეცნიერო მასალის გაანალიზე-
ბით, ის ამტკიცებს, რომ აღნიშნული ტრადიცია ყალიბდება, ვითარ-
დება და ირღვევა იმპერიის ჩამოყალიბების, განვითარებისა და დაშ-
ლის პარალელურად. ლიტერატურული პროცესი, როგორც სრულმას-
შტაბიანი მოვლენა, პოლიტიკურ ფაქტორებზეცაა დამოკიდებული. ამ
საკითხზე მსჯელობისას მეცნიერი აზუსტებს ტერმინს *იმპერიული*.
ეს, მისი აზრით, გულისხმობს დროის გარკვეულ ჩარჩოს, რომელიც
მოიცავს ურთიერთობათა პროცესს იმპერიულ და საბჭოთა პერიოდ-
ში. რუსულ იმპერიულ პოლიტიკაზე საქართველოს დამოკიდებულე-
ბის პერიოდში – წერს ე. ჩხაიძე (2018, გვ. 11-14) – ჩამოყალიბდა რუ-
სულ-ქართული კულტურული იმპერია, რომლის გაძლიერების მნიშ-
ვნელოვან ფაქტორად პოლიტიკასთან ერთად რუსული კულტურის
ლიტერატუროცენტრისტულობაც მიაჩნია.

მეცნიერის ნაშრომს საფუძვლად უდევს ქართული სლავისტი-
კის მდიდარი ისტორია. აქტუალური პრობლემის გასაანალიზებლად
იგი იყენებს დასავლეთ ევროპული და ამერიკული სამეცნიერო სკო-
ლების თანამედროვე, ინტერდისციპლინურ მიდგომებს.

იმპერიის ცენტრისა და პერიფერიის რთული ურთიერთგავლე-
ნის კომპლექსურად შესწავლად ე. ჩხაიძის ნაშრომში თავი მოიყარა
მრავალმა თეორიულიმა კონცეფციამ – ტრავმა, ნოსტალგია, ერები და

ნაციონალიზმი, ქალაქის სემიოტიკა (თბილისი), ქალაქი, როგორც ბრძოლებისა და ცხოვრების სივრცე, სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა თავშეყრის ადგილი, ჰიბრიდულობა, კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პოსტსაბჭოთა კონფლიქტების რეპრეზენტაციას ქართულსა და რუსულ ლიტერატურაში.

მეთოდოლოგიური პლურალიზმით გამორჩეულ ამ ნაშრომში ყურადღებას იპყრობს – იმაგოლოგიური მიდგომა პოსტკოლონიური კრიტიკის კონტექსტში. საქართველოს მხატვრული სახის რეპრეზენტაციაზე რუსულ ლიტერატურაში მკვლევარი ასეთ მოსაზრებას გამოთქვამს: *„რუსულ ლიტერატურაში საქართველოს თემის პუკულარულობას განაპირობებდა კოლონიზატორის მესიანური როლი და ამავდროულად იღწვოდა უცნობი მხარის შესასწავლადაც. მეორე მხრივ, კი პროვინციას აახლოვებდა ცენტრთან“* (Чхаидзе, 2018, გვ. 11-14). ე. ჩხაიძე თავის მონოგრაფიაში კულტურული ტრავმის საფუძველზე ანალიზებს ცენტრისა და პერიფერიის მიმართებებს, პოსტსაბჭოთა კონფლიქტების რეპრეზენტაციას ქართულსა და რუსულ ლიტერატურებში, სუბალტერნის/დაქვემდებარებულის ფენომენის მისადაგებას ოთარ ჩხეიძის რომანების მაგალითზე, საქართველოსა და თბილისის მხატვრული სახის რეპრეზენტაციისას თანამედროვე რუსულ ლიტერატურულ დისკურსში, მსჯელობს ასევე პოსტკოლონიური ნოსტალგიის ცნებაზეც.

პოსტსაბჭოთა/პოსტკოლონიური პერიოდის საქართველოსა და რუსეთთან დაკავშირებული მოვლენები განიხილება არა „აღმოსავლეთ-დასავლეთის“, არამედ „ჩრდილოეთი/სამხრეთის“ პრიზმაში. კვლევამ მოიცვა საქართველოში, რუსეთში და უცხოეთში მცხოვრები ქართველი და რუსულენოვანი ავტორების მხატვრული ნაწარმოებები, კრიტიკული ლიტერატურა და კვლევები 2014 წლამდე. მოცემულია საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის მეცნიერთა ტენდენციებისა და სამეცნიერო ნაშრომების სრული მიმოხილვა.

ელენა ჩხაიძის კვლევა კიდევ ერთი და მეტად მნიშვნელოვანი ასპექტითაცაა გამორჩეული. მონოგრაფიის მესამე, ბოლო თავში, მკვლევარი სკურპულოზურად განიხილავს რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ისტორიას საბჭოთა პერიოდიდან პოსტსაბჭოთა პერიოდის ჩათვლით. ამ ნაწილში მეცნიერი ანალიზებს კვლევის პროცესს მისი სისტემატიზაციისა და პერიოდიზაციის შემუშავების საფუძველზე. იგი აღწერს პროცესის განვითარების თავისებურებებს – რა ფაქტორებმა განაპირობა კვლევის პრო-

ცესის ჩამოყალიბება და განვითარება. ყურადღებას აქცევს პერსონებს, ქართველ რუსისტებს, რომელთაც საქართველოში შექმნეს სკოლა და ამ სკოლის საფუძველზე პროცესის განვითარების ძირითადი ასპექტები. მკვლევრისთვის მნიშვნელოვანია გამოკვეთოს გარემოებები, რის გამოც მეცნიერთა ინტერესში ექცეოდა პრობლემები, ავტორები და ასევე – რა ფაქტები იჩქმალებოდა საბჭოთა იდეოლოგიზირებულ მეცნიერებაში.

მდიდარი ფაქტოლოგიური მასალის გაანალიზების შედეგად ე. ჩხაიძე ასევე განიხილავს მთარგმნელობითი პროცესის ისტორიას, რომელიც ქართული და რუსული კულტურების ისტორიაში მნიშვნელოვანი სეგმენტია. პარაგრაფში „თარგმანებისა და მეგობრობის ისტორია“ ე. ჩხაიძე ობიექტურად აფასებს ქართულ-რუსული მთარგმნელობითი ურთიერთობების უზარმაზარ ისტორიას, მის შედეგებს, ათწლეულების განმავლობაში განვითარების ხელშემწყობ ფაქტორებს, გამოცემებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებათა ისტორიას, რომელმაც განავითარა თარგმანის კულტურა და ისტორია საქართველოში. ნაშრომის ეს ნაწილი მხოლოდ ქართულ-რუსული წყვილისთვის არაა მნიშვნელოვანი. სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ასე დეტალურად და ფუნდამენტურად ქართული თარგმანის ისტორიის სუპრალიტერატურული ფაქტორები, ინსტიტუციონალური ისტორია, ჯერ არ გამოკვლეულა. ეს არის ის საკითხი, რომელმაც მნიშვნელოვნად განაპირობა მეოცე და ოცდამეერთე საუკუნის ქართული კულტურის ჩამოყალიბება. ამ პერიოდის ქართულ კულტურაში თარგმანს სრულიად გამორჩეული ადგილი უკავია. ვფიქრობ, ნაშრომში განხილული მასალები და ისტორია თავისუფლად შეუწყობს ხელს მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ზოგად პროცესსაც. საბოლოო ჯამში, „*იმპერიული ლიტერატურული ტრადიციის*“ ამ სეგმენტის გაანალიზების შედეგად მკაფიოდ იკვეთება მითებისა თუ ტრადიციის გამოგონების (ე. ჰობსბაუმი) ხანგრძლივი და მრავალფეროვანი პროცესი. ამ დიდი და პოლიტიკურად მოტივირებული პროცესის მრავალწახნაგოვანი მეცნიერული ანალიზის შედეგად ელენა ჩხაიძემ აჩვენა დისკურსების ცვლილებების ლიტერატურული რეფლექსიები – რომანტიკული დისკურსის ტრანსფორმაცია პოსტკოლონიურ პერიოდში, როდესაც რომანტიკული და მეგობრობის ნარატივი ჩანაცვლდა წყენისა და აგრესიის დისკურსით.

სრულიად ლოგიკურად მეცნიერს ეს მიაჩნია რესემანტიზაციისა და დეკონსტრუქციის შედეგებად.

პოსტკოლონიურ პერიოდში ლიტერატურათმცოდნეობასა და ზოგადად მეცნიერებაში, საერთაშორისო გამოცდილების დანერგვის აუცილებლობამ გარკვეულწილად ჩრდილში მოაქცია საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის აქტუალურობა. ამ პროცესს ცნობილმა მკვლევარმა, ნაფტოლი ბასელმა, მეტაფორულად თავიანთ „ნაციონალურ ბინებში“ მიფანტვ-მოფანტვა უწოდა. თავისთავად შეიცვალა როგორც ქვეყნებს შორის ურთიერთობების პრინციპები, ისე კულტურათა კომუნიკაციის ფორმატი და მთელი ამ პროცესის მეცნიერული ანალიზიც. დასავლურ/ ევროპულ მეცნიერებასთან შედარებით პოსტსაბჭოთა სივრცეში დაგვიანებით, მაგრამ ნაბიჯ-ნაბიჯ დაიწყო ამ პროცესის შესწავლა ყველაზე მართებული თეორიისა და მეთოდოლოგიის – პოსტკოლონიალიზმის კონტექსტში. შესაბამისად, სტატიაში განხილული ნაშრომები სწორედ პოსტკოლონიური კვლევების ვექტორს მიჰყვება. აღსანიშნავია, რომ ამ კვლევებმა (უწინარესად, ე. ჩხაიძის) მართლზომიერად მოარგო ერთმანეთს როგორც ევროპული, ისე ნაციონალური ლიტერატურათმცოდნეობითი ტრადიციები. როგორც სტატიაში აღინიშნა, რუსულ-ქართული წყვილის კვლევა განმსაზღვრელი იყო ზოგადად სხვა ლიტერატურების ანალიზისთვისაც, შესაბამისად, პოსტსაბჭოთა პერიოდშიც შესაძლებელია ამ პროცესის განზოგადება იდეოლოგიური კონტექსტის გარეშე.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების სისტემის შემუშავებასთან ერთად, საჭირო გახდა ასევე საერთო საბჭოთა ისტორიასთან დამოკიდებულების სტრატეგიების დასახვაც. თანამედროვე ქართულ მეცნიერებაში აქტუალურია ყოფილი სსრკ რესპუბლიკების გამოცდილების ანალიზი, მათი შედარება და ქართულ რეალობასთან მიმართება. ამ თვალსაზრისით საკვანძო საკითხია ყოფილი მეტროპოლიისა და პერიფერიების ურთიერთობა. აქედან გამომდინარე, გერმანული ლიტერატურათმცოდნეობის ეს ვექტორი, თავისი მეთოდოლოგიური კონცეფციებით მნიშვნელოვნად წაადგება არა მხოლოდ ქართულ-რუსულ, არამედ ყოფილი სსრკ რესპუბლიკების ლიტერატურათაშორისი ურთიერთობების კვლევის თანამედროვე პროცესსაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Лекке, М. (2018). Русско-грузинские литературные связи и наука о них в социальном контексте. Россия-Грузия после империи. Сборник статей. Москва: "Новое литературное обозрение", 31-55.
- Лекке, М. (2020). Конец солнечной Грузии! Колониальность в романах о Грузии, написанных после 1991 года (авториз. пер. с нем. Ксении К. Ельцовой), Новое Литературное Обозрение, 166.
https://www.nlobooks.ru/magazines/novoe_literaturnoe_obozrenie/166nlo6_2020/article/22967/
- Люцканов, Ю. (2013). Сдваивание «малых» литературы, как средство их ознакомления друг с другом. ლიტერატურული დიებანი, XXXIV, 194-204.
- Наливайко Д. (2009). Літературна компаративістика вчора і сьогодні. Сучасна літературна компаративістика: стратегії і методи. Антологія. Київ: Видавничий дім «Києво-Могилянська академія».
- Чхаидзе, Е. (2018). Политика и литературная традиция: русско-грузинские литературные связи после перестройки. Москва: Новое Литературное Обозрение.

References:

- Chkhaidze, E. (2018). Politika i literaturnaya traditsiya: russko-gruzinskiye literaturnyye svyazi posle perestroyki. Moskva: Novoye Literaturnoye Obozreniye [Politics and Literary Tradition: Russian-Georgian literary connections after perestroika]. Moscow: Novoe Literaturnoe Obozrenie.
- Lecke, M. (2018). "Russko-gruzinskiye literaturnyye svyazi i nauka o nikh v sotsial'nom kontekste. Rossiya-Gruziya posle imperii. Sbornik statey (str. 31-55). Moskva: Novoye Literaturnoye Obozreniye". [Russian-Georgian literary relations and their study of societal context. Russia and Georgia after empire. Collected papers. Editors Mirja Lecke and Elena Chkhaidze]. Moscow, Novoe Literaturnoe Obozrenie.
- Lecke, M. (2020). Konets solnechnoy Gruzii! Kolonial'nost' v romanakh o Gruzii, napisannykh posle 1991 goda (avtoriz. per. s nem. Ksenii K. Yel'tsovoy). Novoye Literaturnoye Obozreniye, 166. [The End of Sunny Georgia!: Coloniality in Novels about Georgia Post-1991]. Novoe Literaturnoe Obozrenie, 2018https://www.nlobooks.ru/magazines/novoe_literaturnoe_obozrenie/166_nlo_6_2020/article/22967/
- Lyutskanov, Y. (2013). Sdvaivaniye «malykh» literatur, kak sredstvo ikh oznamleniye drug s drugom. lit'erat'uruli dziebani, XXXIV, [Towards Paired Histories of "Small" Literatures, to Make them Communicate Literary researches XXXIV], 194-204
- Nalyvaiko, D. (2009). Literaturna komparatyvistyka vchora i s'ohodni. V Suchasna literaturna komparatyvistyka: stratehiyi i metody. Antolohiya. Kyiv: Vydavnychyy dim «Kyievo-Mohylyans'ka akademiya». [Literary comparative studies yesterday and today. In Modern literary comparative studies: strategies and methods. Anthology]. Kyiv: Kyiv-Mohyla Academy Publishing House.